Polish Aid არის პოლონეთის თანამშრომლობითი პროგრამა, რომელიც ხორციელდება 2011 წლის 16 სექტემბრიდან, იყენებს სახელმწიფო სააგენტოებს იმ მიზნით, რომ იზრუნველყოს როგორც პოლონეთში, ასევე განვითარებად ქვეყნებსა და მათ საზოგადოებებში მდგრადი გარემოს შექმნა, სიღარიბის შემცირება, დემოკრატიის განვითარება და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ამას გარდა, პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში, გრანტები გამოიყოფა აგრიკულტურული, ენერგიის და ბუნებრივი რესურსების სფეროს განვითარების ხელშეწყობისთვის. პოლონეთის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში იგეგმება აქტივობები, რომელსაც მხარს უჭერს პოლონეთის სახელმწიფო.

Polish Aid-ის საგრანტო პროგრამები შემდეგი კატეგორიების მიხედვით იყოფა:

პოლონურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა: საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად აფინანსებს პოლონურ წარმომადგენლობებს: არასამთავრობო სექტორიდან, საჯარო და კერძო კომპანიებიდან, კვლევითი გაერთიანებებიდან და სხვა

მცირე გრანტები განვითარებადი ქვეყნებისთვის: პოლონეთის დიპლომატიური მისიები ამ ტიპის ქვეყნებში ახორციელებენ ერთ წლიან პროექტებს

პოლონური გამოწვევების ფონდი: მიზნად ისახავს პოლონური კომპანიების აქტიურად ჩართვას ორ პრიორიტეტულ ქვეყანაში: უკრაიანასა და ბელარუსიაში. თანამშრომლობა

ძირითადად დაკავშირებულია ტექნოლოგიური მიღწეევების, მათ შორის მწვანე ტექნოლოგიური სიახლეების გაზიარებასთან.

სფეროები, რომლის განვითარებასაც Polish Aid ისახავს მიზნად საკმაოდ ვრცელია და გულისხმობს:

დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მხარდაჭერას, საპარლამენტო სისტემის განვითარებას, კარგი მმართველობის პრინციპების შეთავაზებას, ადამიანის უფლებების პატივისცემის გაღრმავებას.

სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა: მოსახლეობის დაცვა და მზრუნველობის გაწევა შეიარაღებული კონფლიქტებისგან დაზარალებულთათვის, სტიქიური უბედურებებისგან ან სხვა ჰუმანიტარული კრიზისის დროს, იქნება ეს ადამიანისგან თუ ბუნებისგან გამოწვეული.

გლობალური განათლება, გლობალური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირის გაღრმავება.

აღნიშნული პროექტის მიერ გაცემული გრანტები ფარავს თითქმის მთელ კონტინენტს და განვითარებად ქვეყნებს:

აზიის სამხრეთი ნაწილი: მიანმარი

ევრაზია და ცენტრალური აზია: საქართველო

აღმოსავლეთ ევროპა და რუსეთი: ბელარუსია, მოლდოვა და უკრაინა

ახლო აღმოსავლეთი და ჩრდ. აფრიკა: პალესტინის ტერიტორიები

აფრიკა: ეთიოპია, კენია, სენეგალი, ტანზანია

Polish Aid-ის პროგრამებმა აქტიურად გაუწია დახმარება ბენეფიციარ ქვეყნებს Covid-19 ვირუსის გავრცელების პერიოდში. მათ შორის უნდა გამოიყოს ბელარუსია, რომელმაც ეპიდ. სიტუაციის გამწვავების დროს პოლონეთისგან მიიღო დახმარების სახით სამედიცინო აღჭურვილობა, პირბადეებისა და ტანსაცმლის მარაგები.

პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია თავად პოლონეთსაც. 2020 წლის 15 მარტს ვირუსის შეჩერების მიზნით სახელმწიფომ ორმხრივი საჰაერო საზღვრები ჩაკეტა და ფრენები შეაჩერა. აეროპორტებმა დიდი ზარალი განიცადეს ფინანსური კუთხით, რისი ანაზღაურებაც მოხდა Polish Aid-ის მეშვეობით. პროგრამის ფარგლებში აეროპორტებს აუნაზღაურდათ ის დანაკარგები, რომელიც ჰქონდათ 15 მარტიდან- 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში.

უნდა აღინიშნოს ტანზანიაში პოლონეთის როლი მოსახლეობის სიკვდილიანობის შემცირებაში. ქვეყანაში მედიცინის მუშაკების მიზერულმა რაოდენობამ, სამედიცინო განათლების არაკვალიფიციურობამ და ინფრასტრუქტურის გაუმართაობამ გამოიწვია მაღალი სიკვდილიანობის მაჩვენებელი. Polish Aid-ის პროგრამით მოხალისეობრივად პოლონელმა ექიმებმა გაუწიეს დახმარება მოსახლეობას. აღნიშნული მისიის ფარგლებში

აშენდა ახალი ქირურგიული კლინიკა. მისიამ სრულად უზრუნველყო კლინიკა სამედიცინო აღჭურვილობებით. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ასევე, ადგილობრივი ექიმებისთვის ტრენინგების ჩატარება და მათი გადამზადება. პროექტის შედეგად ტანზანიის ჰოსპიტლებში დედათა და მუცლადმყოფ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა 30%-ით

ბენეფიციარი ქვეყნების მსგავსად საქართველოც აქტიურად იღებს მხარდაჭერას პოლონეთისგან. Polish Aid-ის მიერ გამოყოფილი დაფინანსებები ხელს უწყობს ცალკეული სფეროების საფუძვლიანად განვითარებას. მათ შორის უნდა გამოიყოს 2019 წელს ჩატარებული ტრენინგ პროგრამა მეხანძრეებისთვის. კვალიფიციური სწავლების მეშვეობით, ქართველმა მეხანძრეებმა აიმაღლეს ცოდნა და გადამზადნენ პროფესიულ სფეროში. პოლონეთის მთავრობისგან ასევე მათ საჩუქრად მიიღეს სახანძრო აღჭურვილობები. წარმატებულ პროექტებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდში პოლონეთის მიერ განხორციელებული აქტივობები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სვანეთსა და ყაზბეგში. ამ წლის გაზაფხულზე ქართულ მთებში უსაფრთხო გადაადგილებისთვის გაიმართა კვალიფიციური მთამსვლელების ტრენინგი. პროექტი მიზნად ისახავდა გამოცდილი მთამსვლელების ჩამოყალიებებას, რომლებიც მთებში შექმნიან უსაფრთხო გარემოს ლაშქრობისა და მოგზაურობისთვის. პროექტის ფარგლებში პოლონეთის მხრიდან გამოყოფილი იყო 2,2 მლნ დოლარის დახმარება, რომელიც სრულად მოხმარდა პროფესიონალი მაშველი ჯგუფების შექმნასა და გადამზადებას.

ნენი მარსაგიშვილი

რესურსები:

1) https://www.gov.pl/web/polishaid/polish-medical-mission-and-polish-aid-improve-quality-of-healthcare-in-tanzanian-hospital
2) https://www.gov.pl/web/diplomacy/polish-aid
3) https://terravivagrants.org/grant-makers/cross-cutting/polish-aid/
4) https://polandin.com/50095153/eu-approves-polish-aid-programme-for-airports-affected-by-covid19
5) https://www.gov.pl/web/polishaid/polish-aid-for-belarus-in-the-fight-against-covid-19
6) https://www.gov.pl/web/polishaid/poland-helps-make-georgian-mountains-safer